

შალვა ტაბატაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სასკოლო სახელმძღვანელოები არაქართულენოვანი სკოლებისთვის, პრობლემები და გამოწვევები

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია განიხილავს კვლევის შედეგებს, რომელიც შეეხება არაქართულენოვან სკოლებში სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხს. კვლევის ფარგლებში სამაგიდე კვლევა და ფოკუს ჯგუფებში დისკუსიის კვლევის მეთოდები იქნა გამოყენებული. კვლევამ გამოავლინა საინტერესო ტენდენციები: კერძოდ, გამოვლინდა სამი მნიშვნელოვანი პრობლემა სასკოლო სახელმძღვანელოებთან მიმართებით: (1) სასკოლო სახელმძღვანელოები შეიცავს სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ ელემენტებს და არ ასახავს საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას; (2) უმცირესობათა მშობლიურ ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელოების თარგმანის ხარისხი არის დაბალი და უხარისხო თარგმანი ხშირად შინაარსს უცვლის სასკოლო სახელმძღვანელოებში მიწოდებულ მასალას; (3) არაქართულენოვანი სკოლებისთვის გამოიზრდა ბილინგვური სახელმძღვანელოები, რომლებშიც მასალის 30% სახელმწიფო ენაზეა წარმოდგენილი, ამ ეტაპზე გამოუსადგარია არაქართულენოვანი სკოლებისთვის, რადგან არც მოსწავლეებს, არც მასწავლებლებს და არც მშობლებს არ გააჩნიათ შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია, რომ სახელმწიფო ენაზე არსებული მასალის გამოყენება მოხდეს სასწავლო პროცესში. შესაბამისად, სახელმწიფო ენაზე არსებული საგნის შინაარსობრივი ნაწილი აუთვისებელი რჩება არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების მიერ. კვლევის შედეგებს გააჩნია უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის მიგნებებზე დაფუძნებით, მნიშვნელოვანია გატარდეს რეფორმა არაქართულენოვანი სკოლების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს განათლების გზით სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელება.

შესავალი

საქართველო მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთით, ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე. იგი ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთსა და თურ-

ქეთს. საქართველოს მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 4,585,874 ადამიანს (ტაბატაძე, 2015). საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. 2002 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 83,8%-ს

ეთნიკურად ქართველები შეადგენენ, ხოლო 15,2%-ს - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი. ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან რაოდენობით, განსახლების ტიპებით (კომპაქტური და დისპერსიული) და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის ხარისხით (ტაბატაძე და მისი კოლეგები, 2008). უნდა გამოვყოთ 4 რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი უმცირესობათა წარმომადგენლები: აფხაზები (აფხაზეთი), ოსები(სამხრეთ ოსეთი), აზერბაიჯანლები (ქვემო ქართლი) და სომხები (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლიდან – წალკის რაიონი). კომპაქტურად სახლობენ ქისტებიც კახეთის რეგიონში პანკისის ხეობაში, თუმცა მათი რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით საკმაოდ დაბალია. კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება დისპერსული განსახლების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მაგალითად, უკრაინე-

ლები, რუსები, ბერძნები, ებრალები, ქურთები, იეზიდები, ასირიელები და სხვა (გაბუნია, 2014ა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ეთნიკური ჯგუფებიც არ არის ჰომოგენური (გაბუნია, 2014ბ) მაგალითისთვის, ბერძნული ეთნიკური ჯგუფი შედგება ორი განსხვავებული ქვეჯგუფისგან: ერთ-ერთი მათგანი ლინგვისტურად თურქულენოვანია, ხოლო მეორე ჯგუფი საუბრობს თანამედროვე ბერძნულ ენაზე. ანალოგიურად, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანული თემები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: შიდა ქართლში ზოგად განათლებას იღებენ ქართულ ენაზე, ხოლო ქვემო ქართლში მშობლიურ -აზერბაიჯანულ ენაზე (სვანიძე 2002, დამოწმებულია - ტაბატაძე, 2009).

სამოქალაქო ინტეგრაცია ერთ-ერთ სტრატეგიულ პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს მთავრობისთვის. განათლების სისტემა კი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად (ტაბატაძე, 2009). საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348

განკარგულებით დამტკიცდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა“. ამ აქტით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირება და საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტთან არსებული საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენა (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის აპარატის შეფასების დოკუმენტი, 2014). აქვე აღსანიშნავია, რომ „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას განათლება და მულტილინგვური განათლება წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც იგეგმება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა (საქართველოს მთავრობა, „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა, 2009).

უმცირესობათა განათლება

საქართველოში

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს, პროფესიულ და არაფორმალურ განათლებას. ზოგადი განათლების სისტემა მოიცავს დაწყებითი (1-6 კლასები), საბაზისო (7-9 კლასები) და საშუალო (10-12 კლასები) განათლების საფეხურებს. ზოგადი განათლების სისტემა ეფუძნება ზოგადი განათლების შესახებ 2005 წელს მიღებულ კანონს. კანონის მიხედვით, საქართველოში საჯარო სკოლები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და დღესდღეობით საქართველოში 2064 საჯარო სკოლაა. საქართველოს განათლების სისტემაში გვხვდება კერძო სკოლებიც და მათი რაოდენობა 230-ს შეადგენს (ტაბატაძე და გორგაძე, 2014). ზოგადი განათლების სისტემაში დაახლოებით 560 000 მოსწავლე სწავლობს. აქედან არაქართულენოვანი სკოლებსა და სექტორებზე მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით 59000-ა. საქართველოში 213 არაქართულენოვანი სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორ-

რია. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი 1 არაქართულენოვანი სკოლებისა რეგიონ-
იძლევა დეტალურ ინფორმაციას ნული განლაგების შესახებ.

ცხრილი 1, არქართულენოვანი სკოლები საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2013

რეგიონი	აზერბაიჯანულენოვანი	რუსულენოვანი	სომხურენოვანი	სულ:
აჭარა				0
თბილისი	1	2	1	4
იმერეთი				
კახეთი	4	1		5
სამცხე-ჯავახეთი		4	96	100
ქვემო ქართლი	80	4	20	104
სულ	85	11	117	213

საქართველოს კონსტიტუციის 35.1 მუხლი იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის აპარატის შეფასების დოკუმენტი, 2014). “ზოგადი განათლების შესახებ” კანონი ადასტურებს განათლების მიღების უფლებას (მუხლი 9) და მის “თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის” (მუხლი 3.2.ა, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005) “ზოგადი განათლების შესახებ” კანონის

მიხედვით, სკოლებს ევალებათ, მოსწავლეებს მიაწოდონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული განათლება (მუხლი 33.1.ა). აღნიშნული დებულება უფრო ფართოდაა გაშლილი 2004 წლის 18 ოქტომბერს დამტკიცებულ განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში და სხვადასხვა საგნის სასწავლო გეგმებში, “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მეოთხე მუხლით

განსაზღვრულია: „ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან აფხაზური.“ ამავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე “ზოგადი განათლების შესახებ” კანონის მე-7 მუხლი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს და ამისათვის უზრუნველყოფს გაზრდილ ვაუჩერს ან/და დამატებით დაფინანსებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში (ტაბატაძე და გორგაძე, 2014). ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეტნაკლებად ასახულია მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძობელობის განვითარების ასპექტები. კერძოდ,

სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილში სხვადასხვა გამჭოლ კომპეტენციას შორის, რომლებიც უნდა განუვითარდეს მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მითითებულია „მრავალენობრივი, პლურილინგვური) კომპეტენცია:

„მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის შინაგანი უნარი, დაეუფლოს და გამოიყენოს ენა/ენები. ნებისმიერ საგანში ცოდნასა და უნარებს მოსწავლე ენობრივი აქტივობების საშუალებით იძენს. შესაბამისად, ყველა საგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მოსწავლის მრავალენობრივი კომპეტენციის განვითარებაში“;

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები

არაქართულენოვანი სკოლები-სათვის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფ-მინიჭებული სახელმძღვანელოების თარგმნა ხორციელდება მშობლიურ ენაზე (ტაბატაძე, 2010). სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და სკოლაში

დანერგვა სამ ძირითად ეტაპს მოიცავს:
(1) ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნა;
(2) ეროვნული სასწავლოს გეგმის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოების პილოტირება; (3) სახელმძღვანელოების დანერგვა (ტაბატაძე, 2009). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005 წლიდან შეიმუშავა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის პილოტირებაც განხორციელდა 100 საჯარო ქართულენოვან სკოლაში, 10 სომხურენოვან, 1 - აზერბაიჯანულ და 10 რუსულენოვან სკოლებში. 2006-2007 სასწავლო წელს ახალი სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები შევიდა ქართულენოვან სკოლებში, ხოლო ერთი წლის შემდეგ არაქართულენოვან სკოლებში. ერთი წლის დაგვიანებით შესვლა გამოწვეული იყო სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესით, რათა არაქართულენოვან სკოლებს მიწოდებოდათ მშობლიურ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოები (ტაბატაძე, 2009). ახალი სახელმძღვანელოები გადაითარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე (სახალხო

დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, 2014)

ნათარგმნი სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოებით არაქართულენოვანი სკოლების უზრუნველყოფა 2011-2013 სასწავლო წელსაც განხორციელდა. 2011 წელს დამტკიცდა 2011-2016 წლების ახალი სასწავლო გეგმა და ახალი სახელმძღვანელოები. ახალი სასწავლო გეგმისა და ახალი სახელმძღვანელოების დანერგვა 1-6 კლასებში არაქართულენოვან სკოლებში დაიწყო 2012-2013 სასწავლო წელს და სკოლები უზრუნველყოფილი იყო ნათარგმნი სახელმძღვანელოებით. აქვე აღსანიშნავია, რომ 1-6 კლასების ახალ სახელმძღვანელოებში, ისევე, როგორც ძველი სასწავლო გეგმით შედგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოებში, შეიცვალა თარგმნის პრინციპი. კერძოდ, თარგმანი ხორციელდება „ბილინგვური წიგნების“ პრინციპით, ანუ ითარგმნებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებში არსებული მასალის 70% უმცირესობათა

მშობლიურ ენებზე, ხოლო მასალის 30 % დარჩა სახელმწიფო ენაზე (შეფასების დოკუმენტი, საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკიტებებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014). რაც შეეხება, მე-7 - მე-12 კლასების ახალი სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების დანერგვას, ეს პროცესი უნდა განხორციელებულიყო 2013-2014 სასწავლო წელს, თუმცა განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ვერ უზრუნველყო სახელმძღვანელოების თარგმანი და სკოლების ამ სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა 2013-2014 სასწავლო წლისთვის. შესაბამისად, 2013 წლიდან არაქართულენოვანი სკოლები მუშაობენ ისევ ძველი სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოებით, (შეფასების დოკუმენტი, საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკიტებებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2014).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში კვლევის შემდეგი მეთოდები გამოვიყენეთ:

(ა) სამაგიდე კვლევა;

(ბ) ფოკუსჯგუფების დისკუსია.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ საქართველოს კანონმდებლობა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა და ამ დოკუმენტთან დაკავშირებით შექმნილი შესრულებისა და მონიტორინგის ანგარიშები, აგრეთვე სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების მიმართულებით ჩატარებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მკვლევრების კვლევები. ფოკუსჯგუფების დისკუსიის ფარგლებში 2014 წელს ჩატარდა 4 ფოკუსჯგუფი ახალქალაქის, ნინოწმინდის და მარნეულის რაიონებში სკოლების ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან, მშობლებთან და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ფოკუსჯგუფის დისკუსიები განხორციელდა წინასწარ შემუშავებული ფოკუსჯგუფის დისკუსიის პროტოკოლის საფუძველზე. დისკუსიის ჩაწერა განხორციელდა დიქტოფონზე, რის

შემდეგაც მოხდა ჩანაწერის გაშიფვრა და გაანალიზება.

კვლევის შედეგები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები და ტენდენციები არაქართულენოვანი სკოლების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემების 3 ტიპად კლასიფიცირებაა შესაძლებელი: 1) სასკოლო სახელმძღვანელოები შეიცავს სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ ელემენტებს და არ ასახავს საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას; (2) უმცირესობათა მშობლიურ ენებზე ნათარგმნი სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხი არის დაბალი და უხარისხო თარგმანი ხშირად შინაარსს უცვლის სასკოლო სახელმძღვანელოებში მიწოდებულ მასალას; (3) არაქართულენოვანი სკოლებისთვის გამიზნული ბილინგვური სახელმძღვანელოები, რომლებშიც მასალის 30% სახელმწიფო ენაზეა წარმოდგენილი, ამ ეტაპზე გამოუ-

სადეგარია არაქართულენოვანი სკოლებისთვის, რადგან არც მოსწავლეებს, არც მასწავლებლებს და არც მშობლებს არ გააჩნიათ შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია, რომ სახელმწიფო ენაზე არსებული მასალის გამოყენება მოხდეს სასწავლო პროცესში. შესაბამისად, სახელმწიფო ენაზე არსებული საგნის შინაარსობრივი ნაწილი აუთვისებელი რჩება არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების მიერ. აღნიშნულ სამივე საკითხს განვიხილავთ უფრო დაწვრილებით სტატიაში:

ინტერკულტურული თვალსაზრისით სახელმძღვანელოები დასახვეწია

ანტიდისკრიმინაციული სახელმძღვანელოს შექმნის მოთხოვნები პირდაპირი ფორმულირებით წაყენებული ჰქონდათ სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებს: კერძოდ, 2010 წლის 15 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის #019/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს გრიფირების წესს, მე-4 მუხლის მეექვსე პუნქტის მიხედვით,

სახელმძღვანელო არ შეფასდება და შესაბამისად არ მიენიჭება გრიფი, თუ ბ) მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვ.); იმავე ბრძანებაზე თანდართულ სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმების თაობაზე მითითებულია, რომ სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია ის, რომ: "სახელმძღვანელო ხელს უწყობს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში".

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 30 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის #072 ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავდა სახელმძღვანელოების გრიფირების წესს, თანდართულ ინსტრუქციაში სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმების თაობაზე მითითებული იყო: "დ) სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის,

კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 2011 წლის ბრძანებაში სახელმძღვანელოს გრიფირების წესის შესახებ კი ეს პუნქტი უკვე აღარ არის ჩადებული სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად.

2011 წლის გრიფირების წესში სახელმძღვანელოებში საქართველოში არსებული მრავალფეროვნების ასახვისა და არასტერეოტიპული მოსაზრებების გავრცელების შესახებ მოთხოვნების შეცვლა მოხდა. 2010 წლის გრიფირების წესში გვხვდებოდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც სახელმძღვანელოს გრიფი არ მიენიჭებოდა, თუ მისი „შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვ.), თუმცა ის არ იყო ასახული სახელმძღვანელოთა შეფასების კრიტერიუმებში. ეს მუხლი საერთოდ

ამოღებულ იქნა 2011 წლის გრიფირების წესში. შესაბამისად 1-6 კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ეს მუხლი არ მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი დაემატა მხოლოდ 2012 წლის ცვლილებით: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის ბრძანებით და მე-7-12 კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში უკვე მოქმედებდა, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით ეფექტი ნაკლები აღმოჩნდა (სახელმძღვანელოებში არსებული პრობლემების დეტალური ანალიზი ინტერკულტურული თვალსაზრისით იხილეთ კვლევა „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს დაწყებითი განათლების საფეხურზე“).

სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოები, რიგ შემთხვევაში, ვერ ასახავს ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას და არ არის თავისუფალი სტერეოტიპული ტენდენციებისაგან. ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი კვლევიდან,

რომელიც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემატიკას (ტაბატაძე და მისი კოლეგები, 2013, გვ. 55):

სახელმძღვანელო არ ასახავს საქართველოში არსებულ ეთნიკურ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებას. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ამ თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე ფრაგმენტს ამ სახელმძღვანელოდან. სახელმძღვანელო იწყება ტექსტით: „ჩვენი სამშობლო- საქართველო“. ტექსტი აღწერს საქართველოს მრავალფეროვნებას სხვადასხვა კუთხისა და ტრადიციების თვალსაზრისით: „საქართველო ტრადიციების მრავალფეროვნებითაც არის ცნობილი. სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი - გურული და სვანი, მეგრელი და კახელი, მთიული, მოხევე და ფშაველი, აჭარელი და ხევსური, იმერელი და თუში, ლეჩხუმელი და მესხი, რაჭველი და ქართლელი - საცხოვრისით, ადათ-წესებით, მეტყველებით და ცეკვასიმღერით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მაგრამ არის ერთი მთავარი ნიშანი, რომელიც ამ პატარა ქვეყნის შვილს

აერთიანებს, ერთ განუყოფელ მთლიანობად კრავს, ეს გახლავთ მათი, ქართველების, უმთავრესი ისტორიული მონაპოვარი - ენა და ერთიანი სახელმწიფო, სახელად საქართველო“ (გვ. 3). ტექსტში საერთოდ არ არის ნახსენები საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება და ეთნიკური ჯგუფები არ არიან წარმოდგენილი, როგორც ქართული სახელმწიფოს შვილები. ტექსტში თვალსაჩინოა ეთნოცენტრიზმი და ეთნიკური ლოიალობა ქართული ეთნიკური ჯგუფისადმი და არაქართული ეთნიკური ჯგუფების იგნორირება ქართული სახელმწიფოს კონტექსტში (გვ.55).

ამავე კონტექსტში საინტერესოა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის „ჩვენი სამშობლოს“ სახელმძღვანელოს ანალიზი იმავე კვლევაში. გთავაზობთ ამ კვლევიდან კიდევ ერთ ციტატას, რომელიც „ჩვენი სამშობლოს“ სახელმძღვანელოს შეეხება (ტაბატაძე და მისი კოლეგები, 2013, გვ.76-77).

ქვემო ქართლის მოსახლეობის აღწერისას შემდეგი ფორმულირებებია

გამოყენებული: „ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ქართველების გარდასხვა ეროვნების ადამიანებიც სახლდებოდნენ: აზერბაიჯანელები; სომხები, ბერძნები, გერმანელები... დღეს ვითარება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი. უკანასკნელ ხანებში აქ მშობლიურ სოფლებში მომხდარი ბუნების სტიქიური მოვლენების ... გამო ბევრი ოჯახია ჩასახლებული სვანეთიდან და აჭარიდან“ (გვ. 71). ქვემო ქართლის მოსახლეობის მრავალფეროვნების დახასიათება აშკარად დისკრიმინაციული შეფერილობისაა. წარმოდგენილი ფორმულირებით სახელმძღვანელომ შესაძლებელია მოსწავლეებს განუვითაროს განსხვავებული ეთნიკური ჯგუფებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და მათ ისინი არ ჩათვალონ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად სხვადასხვა კუთხიდან ჩასახლებული ეთნიკური ქართველების მსგავსად.ამ ტენდენციას აგრძელებს ჯავახეთის მოსახლეობის აღწერაც. ავტორებს თითქოს მხოლოდ ისტორიული ფაქტები აქვთ წარმოდგენილი, თუმცა არსებული ფორმულირება, მაინც ქმნის

ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციულ კონტექსტში განხილვის საფრთხეს: „თითქმის სამასი წელი ჯავახეთი ოსმალეთს (თურქეთს) ჰქონდა მიტაცებული. მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართლში გადასახლდა. ხოლო დარჩენილები იძულებულები გახდნენ ისლამი მიეღოთ. დაახლოებით 180 წლის წინ თურქეთზე გამარჯვების შემდეგ, რუსეთმა ჯავახეთი შეიერთა. **გამუსულმანებული ქართველობა აიძულა თურქეთში გადასახლებულიყო, ხოლო მის ნასოფლარებზე სომხები ჩამოსახლდა. დღეს ჯავახეთში ქართველი მოსახლეობა მხოლოდ ცალკეულ სოფლებში ცხოვრობს“ (გვ. 76-77).**

სახელმძღვანელოების კვლევის ავტორთა დასკვნით, „სახელმძღვანელოების უმრავლესობა ავითარებს მოსწავლეებში სტერეოტიპებს სხვადასხვა მიმართულებით კერძოდ, ტერიტორიული განსახლების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული თვალსაზრისით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობა არ

ასახავენ საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებს ეთნიკური, რელიგიური, ტერიტორიული განსახლების მიხედვით და დაწერილი ეთნოცენტრული პოზიციებიდან და, შესაბამისად, ხელს არ უწყობს მოსწავლეთა თანასწორობას და მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძობელობისა და ტოლერანტული დამოკიდებულებების განვითარებას“ (ტაბატაძე და მისი კოლეგები, 2013, გვ.118).

სახელმძღვანელოში ინტერკულტურული ასპექტების ასახვის პრობლემატიკა ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების ანტიდისკრიმინაციული სასწავლო გარემოს შესაქმნელად და, მეორე მხრივ, უმრავლესობის მოსწავლეების ტოლერანტი და მაღალი ინტერკულტურული მგრძობელობის მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის, სადაც უმცირესობათა ინტეგრაციის სურვილთან ერთად, უმრავლესობის მიმღებლობის მაღალი ხარისხია აუცილებელი (ტაბატაძე, 2014).

შესაბამისად, ეს საკითხი, რჩება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად და ამ პრობლემის აქტუალობა დადასტურდა ფოკუს-ჯგუფებთან დისკუსიაშიც. დისკუსიაში მონაწილენი აღნიშნავენ სახელმძღვანელოებში არსებული შეცდომებისა და ინტერკულტურული თვალსაზრისით არაადეკვატური ნაწილების არსებობას. ქვემოთ გთავაზობთ ციტატას ერთ-ერთი მონაწილის საუბრიდან:

ისტორიული შეცდომები ბევრია, მაგ.: ალბანელი ისტორიკოსი მოხსენიებულია როგორც სომეხი ისტორიკოსი. წიგნებში წერია, რომ მუჰამედი იყო მკითხავი, ნაცვლად წინასწარმეტყველისა. ეს შეურაცხოფა“...

სახელმძღვანელოების თარგმნის პრობლემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე

სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო და სისტემატურად ხდება როგორც სასწავლო გეგმების, აგრეთვე სახელმძღვანელოების უმცირესობათა ენებზე თარგმნა. მუდმივად საუბარია თარგმანის

დაბალ ხარისხზე, განსაკუთრებით სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სახელმძღვანელოებთან მიმართებით. სახელმძღვანელოთა თარგმნის ხარისხთან მიმართებით გაუმჯობესება ყოველწლიურად ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში ჩაერთო სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო, რომელთა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 1-6 კლასების ნათარგმნი სახელმძღვანელოების რედაქტირების პროცესში. სამწუხაროდ 2012 წლიდან ეს პროცესი აღარ გაგრძელდებულა, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამომცემლობებთან და სახალხო დამცველის ოფისთან ერთად აღარ განახორციელა 7-12 კლასების სახელმძღვანელოების თარგმნა.

სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხი კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა როგორც ახალქალაქისა და ნინოწმინდის, აგრეთვე მარნეულის რაიონის ფოკუს-ჯგუფების დისკუსიის დროს.

მათი აზრით, სახელმძღვანელოებს არ აქვს გავლილი რედაქტირება, კორექტირება, ბევრი შეცდომაა გაპარული. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ციტატას ფოკუსჯგუფების მონაწილეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან:

მაგალითები: რომი აშენებულია მდინარე ტიბრზე, ამათ გადაწყვიტეს რომ შეცდომითაა ასო ბ, და დაწერეს რომ რომი აშენებულია მდინარე ტიგრზე (ტიგროსზე), რომელიც შუამდინარეთშია.“
„თარგმანის ხარისხი არ მოგვწონს, ბევრი უზუსტობაა, მაგალითად, გამოთვლის მაგივრად მათემატიკის წიგნში წერია გადარიცხვა, რაც მასწავლებლისთვის ადვილად გასაგებია, რომ შეცდომაა. როგორც ჩანს მათემატიკის წიგნის თარგმანს აღარ გაუვლია მათემატიკოსის ხელში, თორემ ასეთი შეცდომები არ იქნებოდა, თუმცა პრობლემა არაა მათემატიკაში - რიცხვები და ნიშნები ყველა ენაზე ერთნაირია“

ორენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენების პრობლემა

2011 წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმანის პროცესი შეიცვალა. სამინისტროს გადაწყვეტილებით ითარგმნება მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებში არსებული მასალის მხოლოდ 70%, ხოლო 30% დატოვებულია სახელმწიფო ენაზე. აღნიშნული ინიციატივის მიზანი ბილინგვური განათლების რეფორმის ხელშეწყობა გახლდათ, თუმცა ეს ინიციატივა სერიოზული ხარვეზებით განხორციელდა:

- (1) სახელმძღვანელოებში 70%-30% თარგმნის პრინციპი მეცნიერულად და მეთოდოლოგიურად დაუმუშავებელია და არ ეფუძნება ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების რაიმე პრინციპს. შესაბამისად, მექანიკურად განხორციელებული პროცენტული ჩაშლა აბსოლუტურად არაეფექტურია და უკუშედეგის მომტანი აღმოჩნდა;
- (2) საგნობრივი მასწავლებლები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ

სახელმწიფო ენას, ვერ ახერხებენ სახელმძღვანელოების გამოყენებას, რადგან მათთვის გაუგებარია სახელმძღვანელოში სახელმწიფო ენაზე დატოვებული 30% სასწავლო მასალის შინაარსი;

(3) არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მშობლები ვერ ახერხებენ მოსწავლეთა დახმარებას, რადგან სახელმძღვანელოში არსებული სახელმწიფო ენაზე არსებული მასალა მათთვისაც გაუგებარია;

(4) ხშირ შემთხვევაში თარგმანის გადანაწილება იმდენად არალოგიკურად არის გაკეთებული, რომ მოსწავლეთათვის, მასწავლებელთათვის და მშობელთათვის გაუგებარი და აუთვისებელი რჩება მშობლიურ ენაზე არსებული მასალაც და მთლიანად ტექსტი თუ სხვა ტიპის სასწავლო მასალა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, ძალიან კარგია, რომ სახელმძღვანელოების თარგმანი მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით

მასწავლებლები არ არიან მზად იმისათვის, რომ ორენოვანი სახელმძღვანელოები ბოლომდე გამოიყენონ.

„საგნის მასწავლებლებმა კი არა, ქართულის მასწავლებლებმა არ იციან ზოგ შემთხვევაში ქართული ენა სრულფასოვნად და, რა თქმა უნდა, სირთულეს წარმოადგენს მასწავლებლისთვის ნათარგმნი სახელმძღვანელოს გამოყენება, სადაც 30% სახელმწიფო ენაზეა.“

ყველაზე დიდი პროტესტი ფოკუს-ჯგუფების დისკუსიის პროცესში გეოგრაფიისა და ისტორიის საგნების მიმართ გამოითქვა. ორენოვან სახელმძღვანელოებში, სადაც გაკვეთილები ნათარგმნია უმცირესობების ენებზე, გარკვეული ნაწილები (წყაროებიდან ამონარიდები) ქართულად არის მოცემული. მასწავლებელთა აზრით, მოსწავლეები და მასწავლებლები არაქართულენოვან სკოლებში არ არიან მზად ორენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლისა და სწავლებისთვის. უმეტესობა მასწავლებლებისა, რომლებიც ასწავლიან ისტორიას და გეოგრაფიას, არ ფლობენ

სახელმწიფო ენას. სკოლებს არ ჰყავს კვალიფიციური ქართული ენის მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად აზერბაიჯანულ / სომხურ ენასაც ფლობს იმ დონეზე, რომ სწავლების პროცესში დაეხმაროს საგნის მასწავლებელს, ამიტომ ამ სახელმძღვანელოებით სწავლების პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს. იმ სკოლებში, სადაც არსებობენ „კვალიფიციური ქართული ენის მასწავლებლების“ პროექტის ფარგლებში მივლინებული პედაგოგები ან ქართული ენის მასწავლებლები კარგად ფლობენ სახელმწიფო ენას, სირთულეები ნაკლებია, რადგან ქართულ ენაზე სახელმძღვანელოში არსებულ ნაწილებს უთარგმნიან საგნის მასწავლებლებს ან მოსწავლეებს (ფოკუსური ჯგუფის დიკუსია ახალქალაქში).

„ყველაზე მეტი პრობლემა სახელმძღვანელოებში ის არის, რომ მითითებული წყაროები, რომელიც მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა მოიძიოს, არის ქართულ ენაზე, აქედან გამომდინარე სრულფასოვნად გაკვეთილის მომზადება, თუ მოსწავლემ

არ იცის სახელმწიფო ენა, ან მასწავლებელი წყაროებს და დამატებით მასალას არ უთარგმნის, შეუძლებელია“

შექმნილ ვითარებაში ორენოვან თარგმანთან დაკავშირებული ნინოწმინდაში, ახალქალაქსა და მარნეულში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში სკოლების წარმომადგენლებმა ამ თვალსაზრისით არსებული პრობლემების მოგვარების შემდეგი გზები დაასახელეს:

1. იმ საგნებში, რომლებშიც არსებობს წინა წლის სახელმძღვანელოები, მასწავლებლები იყენებენ წინა წლის სახელმძღვანელოებს დამხმარე მასალად. თუმცა წინა წლის სახელმძღვანელოებში არ არსებობს თავები, რომლებიც წლევანდელ სახელმძღვანელოშია შესული და მასწავლებელს უწევს დაიხმაროს სხვა პედაგოგი, რომ გაიგოს, რა წერია ქართულ ნაწილში;
2. მასწავლებლები იყენებენ მეზობელი სახელმწიფოდან შემოტანილ სახელმძღვანელოებს, რომლებიც არსებობდა მათ სასკოლო ბიბლი-

ოთვეებში და აქტუალური გახდა თარგმანის 70 % - 30% მეთოდის გამოყენების შემდეგ;

3. მოსწავლეები და მასწავლებლები თარგმნიან ქართულ ენაზე არსებულ მასალას ქართული ენის პედაგოგების დახმარებით იმ სკოლებში, სადაც ამის რესურსი აქვთ;
4. უბრალოდ, ტოვებენ და არ ხსნიან (არც საშინაო დავალებად აძლევენ) მასალას, რომელიც ქართულ ენაზეა მოცემული.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ კვლევას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევა გამოავლინა საინტერესო ტენდენციები, რომლებზე რეაგირება უნდა გახდეს განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ: (ა) მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოები ასახვდეს საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას და არ შეიცავდეს სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ

ელემენტებს. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები სასწავლო გეგმების შედგენის, სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სახელმძღვანელოთა შეფასების მიმართულებით; (ბ) მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩამოაყალიბოს მულტილინგვური განათლების რეფორმის კონცეფცია და შეიმუშაოს შესაბამისი განხორციელების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და ამავე კონტექსტში გადაიხედოს ბილინგვური სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი და ამ მიმართულებით შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები, რის შედეგადაც სახელმძღვანელოები უზრუნველყოფენ ენის სწავლების გაუმჯობესებასა და, ამასთანავე, საგნობრივი შინაარსის ეფექტურ ათვისებას; (გ) კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხის გაუმჯობესების ეფექტური მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება.

კვლევის შედეგებს აქვს უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის მიგნებებზე დაფუძნებით, მნიშვნელოვანია გატარდეს რეფორმა არაქართულენოვანი სკოლების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს განათლების გზით სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაეფექტური სახელმძღვანელოები და

უმცირესობათა განათლების პროგრამები უკუშედეგის მომცემი შეიძლება აღმოჩნდეს და ნაცვლად არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების მიერ ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების სოციალური, კოგნიტური და აკადემიური უპირატესობებით სარგებლობისა, მათი აკადემიური ჩამორჩენა და სოციალური დეზინტეგრაცია შეიძლება მივიღოთ შედეგად (ტაბატაძე, 2014).

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბუნია. კ. (2014ა) – Gabunia, K. (2014a) Language Situation in Modern Georgia 1. Kartvelian Languages. *INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION*, 2 (1), p 13-34
- გაბუნია. კ. (2014ბ) – Gabunia, K. (2014b) Language Situation in Modern Georgia 2. Caucasian and Non-Caucasian Languages. *INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION*, 2 (2), p. 1-27.
- გორგაძე, ნ. და ტაბატაძე, შ. (2014). Gorgadze, N. & Tabatadze, S. (2014) *Analysis of the development of lifelong learning and regional action plan for promoting efficient educational management*; Tbilisi; Caucasus University Fund
- საქართველოს გაეროს ასოციაცია (2010) სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების ანგარიში 2007-2009 წლებში; თბილისი; UNAG.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო(2009) ¹2009 წლის 30 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის №072 ბრძანება “სახელმძღვანელოების გრიფირების წესის შესახებ”, იხ.: <http://ganatleba.org/index.php?m=124>.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წლის 15 მარტის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის №019/ნ ბრძანება “სახელმძღვანელოების გრიფირების წესის შესახებ”, იხ.: <http://ncac.ge/index.php?m=791>.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2011) განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის 30/ნ ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. იხ.: <http://mes.gov.ge/uploads/grifirebis%20wesi-17.07.2013.pdf>
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2012) განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის ბრძანება 01/ნ „განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის 30/ნ ბრძანებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“; იხ: <http://mes.gov.ge/uploads/grifirebis%20wesi-17.07.2013.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2011) ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016. იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo>.

საქართველოს მთავრობა *2009) ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა 2009-2014 იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.smr.gov.ge/docs/doc43.pdf>

საქართველოს პარლამენტი (2005) საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე: www.parliament.ge

საქართველოს პარლამენტი (1995) საქართველოს კონსტიტუცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.parliament.ge

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2012) ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში 2010-2011, იხილეთ ვებ-გვერდი: <http://www.ecmcaucasus.org/upload/cnm/UNDP-Publication-ENG-FINAL.pdf>

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2014) ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების დოკუმენტი. იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.smr.gov.ge/docs/doc329.pdf>

ტაბატაძე, შ. გაბუნია, კ. და ოძელი, მ. Tabatadze, S. Gabunia, K. & Odzeli, M. (2008). *Recomendaciones on language policy to protect linguistic minorities*. Tbilisi: Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations

ტაბატაძე, შ. (2009) - Tabatadze, S. (2009). *The reform of education system of Georgia and non-Georgian language schools*. Tbilisi: Caucasus Institute for Peace, Democracy and Development.

- ტაბატაძე, შ. (2010).- Tabatadze, S. (2010). *New initiatives of education policy in the context of civil integration*. Tbilisi: Caucasus Institute for Peace, Democracy and Development.
- ტაბატაძე, შ. (2011) - Tabatadze, S. (2011). Bilingual educational policy in Georgia. In *Human diversity in education, integrative approach* (pp. 282-284). New York: McGraw-Hill.
- ტაბატაძე, შ.; გორგაძე, ნ.; გაბუნია, კ. ხომერიკი, ი.; თინიკაშვილი, დ.(2013)- Tabatadze, S., Gorgadze, N., Gabunia, K., Khomeriki, I., & Tinikashvili, D. (2013) *Intercultural Education Research in Primary Grades of Georgia*. Tbilisi: Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations
- ტაბატაძე, შ. და გორგაძე, ნ. (2014) Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2014). Intercultural sensitivity of primary school teachers of Georgia. *International Journal of Education and Research*, 6, 281-300
- ტაბატაძე, შ. (2014) - Tabatadze, S. (2014) Positive Effects of Bilingualism on Cognition and Language Acquisition. *INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION*, 2 (1).1-12
- ტაბატაძე, შ. 2015) - Tabatadze, S. (2015). Factors Influencing the Effectiveness of Bilingual Educational Programs: The Prospects of Pilot Programs in Georgia. *Sino-US English Teaching*, 12 (2), 93-109.